

სოციალური ქსელი (facebook - ი) და მისი ზეგავლენით
გამოწვეული ზოგიერთი ცვლილება ინგლისურ ენაში

ბოჭორიშვილი თამარი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში
ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია,
რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (
მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლობჯანიძე, ასისტენტ - პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თბილისი, 2014

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია, განიხილოს სოციალური ქსელების ენა, შეისწავლოს მისი ლინგვისტური მახასიათებლების რამდენიმე ასპექტი და ასევე გვიჩვენოს სოციალური ქსელი facebook - ის გავლენა ინგლისურ ენაზე. ნაშრომში მოცემულია აღნიშნული ცვლილებების ყველა შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი.თემაში ასევე განხილული სტატუსები სამეტყველო აქტების ანალიზის მიხედვით. საკვლევ მასალად გამოყენებული იქნა თემასთან შესაბამისი სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომი და ასევე ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა,რომელიც მოიცავდა ემპირიულ დაკვირვებასა და გამოკითხვას სხვადასხვა ქართულ და უცხოურ ფორუმზე.

თემის **აქტუალურობა** განაპირობა, სოციალური ქსელების უპრეცედენტოდ ხშირმა გამოყენებამ და ვინაიდან ურთიეთობის მთავარი ფორმა ლინგვისტური საშუალებებით ხორციელდება, შედეგად მივიღე,რომ მისი გავლენა ენის ყველა ასპექტზე აისახა და სოციალურ ქსელებში შექმნილმა ლექსიკურმა ერთეულებმა და გრამატიკულმა კონსტრუქციებმა გადმოინაცვლა მოსაუბრის სამწერლობო და სამეტყველო ენაში. სტატუსების ანალიზმა კი შედეგად მოგვცა სამეტყველო აქტების ყველა ტიპის რეალიზაცია სოციალურ ქსელში.

ნაშრომის **სიახლე** მდგომარეობს იმაში, რომ ის დეტალურად გვიჩვენებს თუ რა გავლენა მოახდინა სოციალურმა ქსელებმა ინგლისურ ენაზე, განვითარების რა ეტაპს გადის ის ამჟამად და რა ელის მას მომავალში.

Annotation

The subject of the study is to analyse the language of social media and its influence on modern English language. Our purpose is to examine all aspects of linguistic characteristics of social media language in detail. The paper presents every possible reason for changing linguistic situation influenced by internet. The following research also shows speech act analyses of status updates. For the accurate outcome various scientific papers and researches have been used.

The urgency of the subject is conditioned by unprecedented frequent use of social networks. As the language is the main way of communication the result is that its effect is reflected in every aspect of language. Lexical units and grammatical constructions created by users of social network became part of our vocabulary.

The main object of the study is the result of the empirical observation on Facebook

The novelty of the study is the detailed analysis of the impact of social network on the English language. Part of the new approach is the emphasis on what process of evolution it is going through now and prediction of its possible future development.